12/09/2024

MES 2 24 0001112033

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ რატიანიძე- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ნია გრიგალაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

თამარ ბიბილაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
გვანცა ნინიძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზურუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
თამარ ფიფია- ზოგადი განათლების ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვედურეთის საჯარო სკოლა:
თამარ გოგალაძე- სკოლის დირექტორი

სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა:
ნინო ერგემლიძე- სკოლის დირექტორი

სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლა:
ასმათი პირველაშვილი- სკოლის დირექტორი

სსიპ- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავის საჯარო სკოლა:
მაია ნადირაძე- სკოლის დირექტორი

სსიპ- ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლა:
ლიანა ნოზაძე- სკოლის დირექტორი

სსიპ- ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლა:
ლელა ხითარიშვილი- სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვედურეთის საჯარო სკოლა:
ა) ია ქურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ კვანტიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ბერიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მერი ბეჟუაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ბლუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე მორჩილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ია ბჟალავა (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირაკლი ქობალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა:
ა) ვერა ბენიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა გაგუა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) რომანი გაბუნია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) მაკა გრძელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ლომთათიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ფრიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლა:
ა) გიორგი მომცელიძე(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირმა ამირანიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თეონა მაცაბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მაია ქუთათელაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლანა არახამია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავის საჯარო სკოლა:
ა) გიორგი მომცელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნელიკო მათეშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ტოტოჩავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო კაპანაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) შოთა მაღლაკელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლა:
ა) დიმიტრი ქარსელაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) იზოლდა ჭინჭარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხატია კაჭარავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეთერ ბოკელავაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ქათამაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა კუნჭულია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მორის გუმბარიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლა :
ა) ტარიელ სივსივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანი მეხუზლა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნანა ვარდმანიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) გოგი ლატარია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ბურჯანაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირმა შველიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 30 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვედურეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2.სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5.სსიპ- ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6.სსიპ- ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვედურეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია ქურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვედურეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 01 და 02 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვედურეთში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 180 (ორ ცვლაში). აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 180 მოსწავლისთვის (ორ ცვლაში).
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 სტანდარტები (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი)(დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა)შეფასდა ნაწილობრივი შესაბამისობით. ექსპერტის განცხადებით, დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით, სკოლამ, ავტორიზაციის დებულებით დადგენილი ვადების დაცვით წარმოადგიანა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,რასაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც სრულად იყო აღწერილი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ შენობა იყო ორსართულიანი, არ ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი, თუმცა, სპორტის საგაკვეთილო პროცესისთვის იყენებდა გარე სპორტულ მოედანს. მისი განმარტებით, სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის ქვემო ხვედურეთის საჯარო სკოლა, სასკოლო ღონისძიებებისთვის აქტიურად იყენებდა საკლასო ოთახებს, სკოლის ეზოსა და გარე სპორტულ მოედანს, სკოლაში ხშირად იმართებოდა განხორციელებული პროექტების პრეზენტაციები, ასევე, მოსწავლეები აწყობდნენ სხვადასხვა კულტურულ, სახელოვნებო და შემეცნებით ღონისძიებას. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა მოქალაქეობის კლუბი „თანადგომა“, ტექნოლოგიებისა და ჭადრაკის წრეები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა რამდენიმე საკითხით. კერძოდ, ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას წერილი გაგზავნილი, შესაბამის კომპეტენტურ ორგანოსთან, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ასევე დინტერესდა ჰყავდა თუ არა დაწესებულებას შერჩეული სპორტისა და ხელოვნების მასწავლებლები და ასევე დარაჯთან მიმართებით თუ ჰქონდა დამატებული შესაბამისი საშტატო სტრუქტურული ერთეული.
დასმული კითხვების პასუხად, სკოლის დირექტორმა, თამარ გოგოლაძემ, განაცხადა, რომ სკოლამ შეარჩია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპორტისა და ხელოვნების მასწავლებლები. დირექტორის განცხადებით, სპორტის პედაგოგს ჰქონდა მენტორის სტატუსი. სკოლის წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ უმოკლეს ვადაში აპირებდა წერილობით მიემართა შესაბამის ორგანოსთან ექთნისა და დარაჯის საშტატო ერთეულის გამოყოფასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს, საბჭოსთვის წარმოედგინა მეტი დეტალი მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებთან დაკავშირებით.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ირაკლი ქობალიამ, განმარტა, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები, დატვირთული იყო კომპლექსური დავალებებით, ხოლო, რაც შეეხებოდა საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებს, მეცხრე კლასის კურიკულუმი მეტად იყო დატვირთული კომპლექსური დავალებებით, ვიდრე მეშვიდე და მერვე კლასის, რაც შეეხებოდა საშუალო საფეხურს, მე-10, მე-11 კლასის კურიკულუმი სრულად იყო წარმოდგენილი და დატვირთული კომპლექსური დავალებებით, ხოლო მე-12 კალსის კურიკულუმში არ იყო ასახული კომპლექსური დავალებები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვედურეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:30
დასრულების დრო: 16:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვედურეთის საჯარო სკოლას (ს/კ:240907943) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ხვედურეთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ხვედურეთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ხვედურეთი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 1.2. კომპონენტთან მიმართებით, სტრატეგიული გეგმის შემუშავებული და დამტკიცებული დოკუმენტის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მისიასთან თავსებადი მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები, დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის გაშნვითარების ეროვნულ ცენტრში.მესამე სტანდარტში 3.1. კომპონენტთან მიმართებით დარაჯის საშტატო ერთეულის დამატების, სკოლის შინაგანაწესის შრომის კოდექსთან მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის,ასევე სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლების აყვანის/შრომითი ხელშეკრულების გაფორმების დამადასტურებელი მტკიცებულება. 3.3. კომპონენტთან მიმართებით სკოლამ უზრუნველყოს, სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესთან მიმართებით ხარისიხს მართვის პოლიტიკის მარეგულირებელი შიდა წესების შემუშავების/დამტკიცების მტკიცებულება, უზრუნველყოს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღწერის რეგულაციის სახით გაწერის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3.4. კომპონენტთან მიმართებით უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოდან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენა. უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვის მტკიცებულების წარმოდგენა,ასევე სკოლამ აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისად სკოლის ღია სივრცეში სათვალთვალო კამერების კანონმდებლობის შესაბამისად განთავსების შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში .
3.4. კომპონენტთან მიმართებით, სკოლამ უზრუნველყოს ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიციური კადრის აყვანა და ასევე არაუფლებამოსილი პირის წვდომის შეზღუდვა მონიტორზე,და ამავდროულად უზრუნველყოს,რომ მისი ადმინისტრირების უფლება მიენიჭოს ბრძანებით განსაზღვრულ უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელ პირს და აღნიშნულთან დაკავშირებით, შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოადგინოს სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
3.5. კომპონენტთან მიმართებით, სკოლამ უზრუნველყოს შენობის მე-2 სართულზე ასასვლელი პანდუსის/ლიფტის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
2.1 და 2.2. კომპონენტთან მიმართებით (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე),სკოლამ 2025 წლის აგვისტოში უზურნველყოს კომპონენტებით გათვალისწინებული შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვერა ბენიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 25 და 26 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 130. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 130 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა)

სტანდარტები შეფასდა, როგორც "შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-3 სტანდარტები (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა)შეფასდა, როგორც "მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ვერა ბენიძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და განმარტა, რომ სკოლა წარმატებით ახორციელებდა სასწავლო პროცესს და ასრულებდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებითა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიმართულებებს. დაწესებულება ჩართული იყო USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამაში, აქტიურად მუშაობდა მოსწავლეთა თვითმმართველობა და სამოქალაქო განათლების კლუბი. პროგრამა Ph international-ის ფარგლებში პროექტში „მომავლის თაობა“ სკოლას აქტიური და წარმატებული ჩართულობისთვის გადაეცა საოფისე ტექნიკა, ამავე პროექტის ფარგლებში, სკოლამ უმასპინძლა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმს, ასევე, სამოქალაქო კლუბის „ტოლერანტის“ მიერ განხორციელდა პროექტი „ზრუნვით გავუთბოთ ერთმანეთს გულები“, რომელიც გათვლილი იყო ადგილობრივი და დევნილი ახალგაზრდების მეტად ინტეგრაციაზე, ამავე კლუბისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით სისტემატურად ეწყობოდა სპორტული ღონისძიებები და ლაშქრობები. აღსანიშნავია, რომ სკოლა წარმატებით ჩაერთო ორგანიზაციის „დაიცავი საქართველოს სისუფთავეს“ მიერ ინიცირებულ კონკურსში, „ შექმენი ეკოგმირი. ასევე ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ კამპანიაში „მოიწვიე ფინედუ კლასში“. ექსპერტის განმარტებით, სკოლა ზრუნავდა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისთვის და ამ მიზნით ეწყობოდა გასვლითი ღონისძიებები აგარის პროფესიულ სასწავლებელში. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა მუნიციპალიტეტის სხვა სკოლებთან და კურსდამთავრებულებთან. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას განსაკუთრებით გამოარჩევდა თანამშრომლობითი კულტურა.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, შეთანხმებული იყო თუ არა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შესაბამის კომპეტენტურ ორგანოსთან,ასევე რა ვითარება იყო სახანძრო უსაფრთხოების გეგმისა და ექთნის აყვანასთან დაკავშირებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა, ნინო ერგემლიძემ, განმარტა, რომ სკოლას შეთანხმებული ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოსთან.რაც შეეხებოდა სახანძრო უსაფრთხოებას, გადადგმული ჰქონდა გარეკვეული ნაბიჯები და უახლოეს მომავალში სკოლას ექნებოდა სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, ხოლო დირექტორის თქმით, ექთანთან უკვე გაფორმებული ჰქონდა შრომითი ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, ასევე დაინტერესდა რა ვითარება იყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვასთან დაკავშირებით.

დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობისთვის, სკოლაში იყო გამოყოფილი სივრცე, თუმცა სრულად აღჭურვისთვის არ ჰქონდათ შესაბამისი რესურსები და სწორედ ამ მიზნით მიმართული ჰქონდა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსთვის. აღსანიშნავი იყო რომ სკოლას გაფორმებული ჰქონდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, იმავე მუნიციპალიტეტის სოფელ ბებნისის საჯარო სკოლასთან და აღნიშნულის ფარგლებში ბებნისის სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიას რამდენჯერმე ეწვივნენ ახალსოფლის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 130 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:15
დასრულების დრო: 17:25

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლას (ს/კ: 240891273) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 130- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ

წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში მესამე სტანდარტთან, კერძოდ 3.4. კომპონენტთან მიმართებით, შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და ექიმის/ექთნის პოზიციაზე შესაბამისი კადრის აყვანის, ასევე მეორე სტანდარტში 2.1 კომპონეტთან მიმართებით, საბაზო საფეხურზე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმის კორექტირება, ხოლო 2.2. კომპონენტთან მიმართებით, (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე) საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 08 და 09 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფუთში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ , მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რამდენად იყო უზრუნველყოფილი სკოლაში ადაპტირებული გარემო. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მომცელიძემ,

განაცხადა, რომ სკოლის შესასვლელი და საპირფარეშო იყო ადაპტირებული, ასევე, სკოლას ჰქონდა ყველა შესაბამისი რესურსი, ადაპტირებული გარემოს უზრუნველსაყოფად, თუმცა ისეთი საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიც იყო ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერული ლაბორატორიები განლაგებული იყო მე-2 სართულზე და ვინაიდან, კიბეებს არ ჰქონდა პანდუსი, ექსპერტთა ჯგუფის მხირდან გაიცა რეკომენდაცია, აღნიშნული სივრცეების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.
ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა, ასმათი პირველაშვილმა, განაცხადა, რომ გაცემული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, სკოლას გაგზავნილი ჰქონდა მოთხოვნა, სსიპ- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან ადაპტირებული გარემოს მოწყობასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, აპირებდა თუ არა სკოლა გარე სპორტული მოედანის მოწესრიგებას. სკოლის დირექტორის, ასმათი პირველაშვილის, განმარტებით, გარე სპორტული მოედნის მოსაწყობად დაწესებულებას მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

დაწყების დრო: 17:45
დასრულების დრო: 17:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლას (ს/კ: 230078215) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფუთი
2		საბაზო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფუთი

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფუთი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის აგვისტოში მესამე სტანდარტთან, კერძოდ 3.4 და 3.5. კომპონენტთან მიმართებით, უზრუნველყოს შენობის მდგრადობის/ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, შესაბამის კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და შესაბამისი რაოდენობის ვიდეოთვალის დამონტაჟების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. 3.5. კომპონეტთან მიმართებით, სკოლის ბიბლიოთეკის,საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა ცენტრში.

ხოლო, მეორე სტანდარტში 2025 წლის აგვისტოში 2.1. (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) კომპონენთან მიმართებით, სკოლამ უზურნველყოს გარე სპორტული მოედნის მოწყობის შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 04 და 05 ივლისს. სკოლა მდებარეობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის

თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 85. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლა შეძლებდა შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 85 მოსწავლისთვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი სასწავლო პროცესი წარიმართებოდა ორ ცვლაში, ვინაიდან სკოლას ჰქონდა 7 საკლასო ოთახი, აქედან ერთ-ერთ საკლასო ოთახში განთავსებული იყო სკოლის ბიბლიოთეკაც. რაც შეეხებოდა ლაბორატორიას, დაწესებულება იყენებდა მოძრავ ლაბორატორიას.
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 სტანდარტები (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს „ ხოლო, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გიორგი მომცელიძემ, განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა შენობის მდგრადობის/ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, სადაც ასახული იყო ინფორმაცია სკოლის შენობის რეაბილიტაციის საჭიროების შესახებ, აქედან გამომდინარე, ექსპერტმა სკოლას მისცა რჩევა, უზრუნველყოს დასკვნაში გამოკვეთილი ხარვეზების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნა, რომ სკოლამ წარმოადგინა დასკვნა, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სადაც აღნიშნული იყო რომ არ შეესაბამებოდა დადგენილ ნორმებს და სასურველი იყო სკოლას გადაედგა გარკვეული ნაბიჯები აღნიშნული მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, შენობის მდგრადობის დასკვნაში ასახულ გარემოებებთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა სკოლის წარმომადგენელს გატარებული რაიმე სახის ღონისძიება.
სსიპ-საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავის საჯარო სკოლის დირექტორმა, მაია ნადირაძემ, განაცხადა, რომ მთელ რიგ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, სკოლას მიმართული ჰქონდა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სსიპ- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის, რაზეც სკოლამ პასუხად მიიღო წერილი, რომ აღნიშნული საკითხების გაცნობა უნდა განხორციელებულიყო ადგილზე.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რამ გამოიწვია დასკვნაში, საგნობრივი მიმართულებით, მოცულობითი რჩევები, აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ რჩევების მრავალრიცხოვნობა გამოწვეული იყო იმით, რომ სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 85 მოსწავლით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:20
დასრულების დრო: 18:30

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავის საჯარო სკოლას (ს/კ:238146225) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 85- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი წყაროსთავი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი წყაროსთავი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი,სოფელი წყაროსთავი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის აგვისტოში 3.4. კომპონენტთან მიმართებით, უზრუნველყოს დადებითი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება და შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - დოკუმენტაციის შესწავლა;

მონიტორინგის ფარგლები მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.

5. სსიპ- ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დიმიტრი ქარსელაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 08 და 09 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 190. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 190 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, დიმიტრი ქარსელაძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იგრძნობოდა პედაგოგიური კოლექტივის ძლიერი, გუნდური თანამშრომლობა, მოტივაცია, საქმისადმი სიყვარული, სიახლეებისადმი ღიაობა, სკოლის სხვადასხვა კათედრას შექმნილი ჰქონდა ხელნაკეთი რესურსები, რომლებსაც ერთმანეთს უზიარებდნენ და იყენებდნენ სასწავლო პროცესში.
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს“ და მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა), შეფასდა, როგორც „ნაწილობრივად“ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა საგნობრივი მიმართულების ექსპერტებს, გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით მეტი დეტალი წარმოედგინათ საბჭოს წევრებისთვის.

სახელმწიფო ენის ექსპერტის, ინგა დარსაველიძის, განმარტებით, სკოლას ჰქონდა მზაობა გაცემული რჩევების გათვალისწინებისთვის და გადადმულიც ჰქონდა გარეკვეული ნაბიჯები, მაგალითად, დაწესებულებამ სახელმწიფო ენის არაფორმალური განათლების მიმართულებით გადმოაგზავნა მრავალფეროვანი პროექტები, რეფლექსიებით, ანალიზითა და მოსწავლეთა ნამუშევრებით. მათემატიკის საგნობრივი ექსპერტმა, მაკა ყიფშიძემ აღნიშნა, რომ სკოლამ მათემატიკის მიმართულებითაც გადმოაგზავნა ჩატარებული კომპლექსური დავალებების რეფლექსიები.
სკოლის დირექტორის, ლია ნოზაძის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ მოწესრიგდა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო შენობის მდგრადობის შესახებ აღნიშნა, რომ დაწესებულება ელოდა დაფინანსებას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოსგან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ვანის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 190 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:50
დასრულების დრო: 19:00

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ- ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლას (ს/კ: 229728916) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 190- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა ვანი.
2		საბაზო	ქართული	

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა ვანი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტი,სოფელი ზედა ვანი .

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის აგვისტოში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, კერძოდ 3.4. კომპონენტთან მიმართებით, სკოლამ უზრუნველყოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოსთან საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა და ასევე აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით შენობის მდგრადობის დასკვნის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა ცენტრში. 3.5. კომპონენტთან მიმართებით სკოლამ უზრუნველყოს სართულებს შორის გადასაადგილებელი ლიფტის ან ამწის უზრუნველყოფის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები -მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, სხდომა დატოვა: 19:05 საათზე

6. სსიპ- ქალაქ ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ტარიელ სივსივაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 04 და

05 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ნინოწმინდაში, ჰოვსეფიანის ქ N16 და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 120. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულება იმ შემთხვევაში შეძლებდა შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის, თუკი სასწავლო პროცესი განხორციელდებოდა ორ ცვლაში.

ექსპერტმა, ტარიელ სივისვაძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სსიპ-ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლას სრულად ჰქონდა გაცნობიერებული თავისი ფუნქციების და როლის მნიშვნელობა რეგიონში არსებული მულტიკულტურული ვითარების გათვალისწინებით, რისი დასტურიც გახლდათ არაქართულენოვანი მოსახლეობის მზარდი ინტერესი ზოგადი განათლების სერვისის სახელმწიფო ენაზე მიღებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას გადააქცევდა მუნიციპალიტეტისათვის წარმატებული გამოცდილების მქონე სოციო-კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებად.

ექსპერტმა ასევე წარმოადგინა სკოლის შენობის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და სპორტული მოედანი მისი თქმით, სპორტული დარბაზის ფუნქიცას ასრულებდა დიდი საკლასო ოთახი, სადაც განთავსებული იყო მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა. ექსპერტის, ტარიელ სივსივაძის განმარტებით, სკოლაში არ იყო შექმნილი ინკლუზიური გარემო, კერძოდ, არც შესასვლელში და არც სართულებზე გადაადგილებისთვის არ იყო დამონტაჟებული პანდუსი, ასევე, დაწესებულებას არ ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი.

ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტები შეფასდა, როგორც "მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივად შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს“ და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა როგორ უმკვალდებოდა სკოლა, სახელმწიფო ენის მიმართულებით არსებულ ბარიერებს, არაქართულენოვან მოსწავლეებთან.

ექსპერტის, ტარიელ სივსივაძის, განმარტებით, მასწავლებლები ენობრივი ბარიერის მქონე მოსწავლეებს ეხმარებოდნენ გაკვეთილების შემდეგ. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებდა სახელმწიფო ენის წრე.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო ბრძანება, ერთ-ერთი ვაკანსიის კომისიის შექმნასთან დაკავშირებით, სადაც კომისიის წევრები არ იყვნენ კანონმდებლობით განსაზღვრული პირები, კერძოდ არ იყვნენ ჩართულები და ბრძანებით განსაზღვრულები პროფესიული კავშირის წარმომადგენელი და მოწვეული სპეციალისტი და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, აღნიშნულის შესახებ მეტი დეტალი გაეცნო საბჭოს წევრებისთვის.

სკოლის დირექტორის, ლელა ხითარიშვილის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი რეალურად კი ეს პირები შედიოდნენ კომისიის

შემადგენლობაში. აქვე, დასძინა, რომ რეგიონში იყო კადრების სიმცირე და სკოლას უჭირდა კვალიფიციური კადრების მოძიება, რის გამოც, სკოლაში დასაქმებული იყვნენ მოწვეული პედაგოგები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 19:15
დასრულების დრო: 19:25

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ- ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლას (ს/კ:236688839) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ნინოწმინდა, ჰოვსეფიანის ქ N16
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ნინოწმინდა, ჰოვსეფიანის ქ.N16
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ნინოწმინდა, ჰოვსეფიანის ქ N16

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის აგვისტოში 3.4. და 3.5. კომპონენტებთან მიმართებით, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, კერძოდ სკოლამ უზრუნველყოს შენობის მდგრადობის/ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა ცენტრში, 3.5. კომპონენტთან მიმართებით სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო შენობის შესასვლელში პანდუსის მოწყობა, ლიფტის დამონტაჟება, ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა და შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განივთარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 19:40 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა